# ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სასაზღვრო-გამშვები პუნქტის პერსონალისთვის

**შენიშვნა:** ,,დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარების და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N281/ნ ბრძანების შესაბამისად, იმ პირებზე ვინც კორონავირუსის პრევენციის მიზნით კარანტინში იმყოფებიან საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტინის) ტოლფას ცნობას გასცემს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. აღნიშნული დოკუმენტი დამსაქმებლებისთვის ხელფასის გაცემის საფუძველი იქნება და შესაბამისად დასაქმებულ ადამიანებს ლეგიტიმურად ჩაეთვლებათ და სრულად აუნაზღაურდებათ კარანტინისა და თვითიზოლაციისას გაცდენილი სამუშაო დღეები. ცნობის მისაღებად დაინტერესებულ პირს შეუძლია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ელექტრონული ფოსტის მისამართზე - info@moh.gov.ge მიმართოს.

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:** 15 05 116 001

*დოკუმენტში წარმოდგენილია რეკომენდაციები იმ თანამშრომლებისთვის, რომელთაც ევალებათ საზღვრის დაცვა/კონტროლი და თერმოსქრინინგის ჩატარება.*

*სხვადასხვა საქმიანობის კომბინაციისას დამსაქმებლმა არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს საინჟინრო-ტექნიკური და ადმინისტრაციული კონტროლი უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესაძლო გამოყენების მიზნით. ამასთანავე სამუშაოს დაწყების წინ უნდა გაკონტროლდეს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა.*

**პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ:**

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
- აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

## საინჟინრო-ტექნიკური კონტროლი

შემომსვლელ მგზავრთაგან განცალკევების მიზნით გამოიყენეთ გამჭვირვალე ფიზიკური ბარიერები საზღვრის დაცვის ოფიცრებისა და სხვა მუშაკებისთვის.

გამოიყენეთ სპეციალური განცალკევებული ზონები, როგორიცაა, მაგალითად: სპეციალური, იზოლირებული ოთახები დასაკეტი კარით, რათა მოახდინოთ იმ მგზავრთა იზოლაცია, რომლებიც სავარაუდოდ COVID-19-ით არიან დაინფიცირებულები, მათ შორის ისინიც, ვინც ადასტურებენ ინფექციის სიმპტომებისა და/ან ნიშნების არსებობას.

თუ მუშაკები ატარებენ მგზავრთა თერმოსქრინინგს, გამოიყენეთ უკონტაქტო (თერმული სენსორი) თერმომეტრები, რათა თავიდან აირიდოთ მუშაკთა შეხება დაავადებულ მგზავრებთან და მაქსიმალური დისტანცია დაიცვათ მუშაკსა და ასეთ მგზავრს შორის.

მგზავრთა შორის დისტანციის დასაცავად გამოიყენეთ სავალდებულო პირობითი ნიშნები (მონიშნეთ იატაკზე სტიკერების სახით). დახურულ სივრცეში არეგულირეთ მგზავრთა ნაკადი.

## ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

**დამსაქმებელმა** არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასების შესაბამისად უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების საჭიროება (ხელთათმანები, თვალის და სახის დამცავი საშუალებები).

**საზღვრის დაცვის ოფიცრები,** რომლებიც შედიან იმ ოთახში, სადაც ის მგზავრები არიან იზოლირებულნი, რომლებსაც სავარაუდოდ აღენიშნებათ COVID-19-ის



StopCoV.ge 1505 116 001

ვირუსი, მაგალითად: დამატებითი (მეორადი, მესამეული) სქრინინგის ეტაპის დროს, შესაძლოა საჭიროებდნენ მაღალი დონის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით დაცვას, (რეკომენდირებულია კომბინიზონი და რესპირატორები FFP2, FFP3). მსგავს შემთხვევებში, რესპირატორები უნდა გამოიყენოთ მწარმოებლის მიერ მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გახდის/ მოხსნის შემდეგ, აუცილებელია ან ხელების დაბანა საპნით და წყლით, ან დამუშავება ალკოჰოლის შემცველი (მინიმუმ 70%) შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებებით.

ერთჯერადი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გახდის/ მოხსნის ადგილებზე განათავსეთ ბიოლოგიურად სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი კონტეინერი. ნარჩენების გატანა უზრუნველყავით პერიოდულად, შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 15 05 116 001



StopCoV.ge 1505 116 001